პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
4 თებერვალი
1944 წ.
№ 25 (6919)
ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

არმიის გენერალ კონევს
არმიის გენერალ ვასუნინს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ კიროვოგრადის ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან დასავლეთის მიმართულებით, და უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა — ბელაია ცერკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა, ხუთი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში ერთმანეთის შესახვედრად წინ წაიწიეს თითოეული მიმართულებით 50-დან 75 კილომეტრამდე და შეტევის თითოეულ უბანზე გარღვევა გაფართოეს 160-175 კილომეტრამდე ფრონტით.

ამ ოპერაციების შედეგად უკრაინის მე-2 და 1-ლი ფრონტების ჯარები შეერთდნენ ზვენიგოროდკის, შოლლის რაიონში და მით შეჭრეს გარემოცვის რკალი მოწინააღმდეგის დაჯგუფების გარშემო, რომელიც ამ ხაზის ჩრდილოეთით მოქმედებს, ცხრა ქვეითი და ერთი სატანკო დივიზიის შემადგენლობით.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს სამასზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქები ზვენიგოროდკა, შოლლა, სმელა, გოგუსლავი, კანევი და დიდი რკინიგზის კვანძები გოგრინსკაია, ცვეტკოვო, მიროგოროდკა.

ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ გალანინის, გენერალ-მაიორ რიჟოვის, გენერალ-ლეიტენანტ შმაჩენკოს, გენერალ-ლეიტენანტ ტროფიმენკოს, გენერალ-ლეიტენანტ კოროტეევის, გენერალ-მაიორ ბირიუკოვის, გენერალ-მაიორ აკიმენკოს, გენერალ-მაიორ ფოგენკოს, გენერალ-მაიორ შმიგოს, გენერალ-მაიორ პუზიკოვის ჯარებმა, გენერალ-მაიორ სელივანოვის კავალერისტებმა, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ როტმისტროვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ კრავჩენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კირიჩენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პოლოზკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ალექსეევის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვოლკოვის ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ვარენცოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ფომინის, არტილერიის გენერალ-მაიორ გუსაროვის, არტილერიის გენერალ-მაიორ შაუსტოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლებედევის, არტილერიის გენერალ-მაიორ ლებედევის, პოლკოვნიკ ზიკოვის არტილერისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ კრასოვსკისა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ გორიუნოვის მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ორივე ფრონტის ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ზვენიგოროდკის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 3 თებერვალს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 და 1-ლი ფრონტების მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა და დაამთავრეს მტრის დიდი დაჯგუფების გარშემორტყმა.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენა ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებმაც განახორციელეს გარღვევა და რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზვენიგოროდკის, შოლლის, სმელის, გოგუსლავისა და კანევისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 3 თებერვალი.

ბაქო

აზნავთკომგინაგი ამხ. სულეიმან ვეზიროვს „აზიზბეკოვნეფტის“ ტრესტის მთავარ გეოლოგს ამხ. ბაბა ზადე ბაბას „სტალინნეფტის“ ტრესტის ბურღვის ოსტატს ამხ. რუსტამ რუსტამოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თქვენ მოგენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ნავთობისათვის ბრძოლაში მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის მიერ თქვენი მუშაობის მაღალმა შეფასებამ და „აზნეფტის“ მოწინავე მუშაკთა დაჯილდოებამ ბაქოს ნავთის მუშაკები უნდა დარაზმოს კიდევ უფრო წარმატებით მუშაობისათვის ნავთობის ამოღების განვითარების საქმეში, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, ჩვენი წითელი არმიისათვის, რომელიც გმირულად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ლ. ბერია

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ პავლე პეტრეს-ძე ბაჟოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მხატვრული ლიტერატურის დარგში და ურალის ფოლკლორის შეგროვების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას მწერალი პავლე პეტრეს-ძე ბაჟოვი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1944 წლის 3 თებერვალი.

მოკავშირე რესპუბლიკათა მშრომელნი მიესალმებიან სსრკ უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

ახალი კანონები განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის ძლიერებას

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო მიღებული გადაწყვეტილებები ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი გამარჯვებაა. ისინი მოწმობენ საბჭოთა კავშირის შემდგომ განმტკიცებას, ნათლად გვიჩვენებენ, რა დიდია საბჭოთა ხალხების მეგობრობა, რა ძლიერია საბჭოთა წყობილება, რა მტკიცეა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ის ფაქტი, რომ ახალი სახელმწიფოებრივი გარდაქმნები დიდი სამამულო ომის დროს ტარდება, საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია სსრკ ხალხთა შეშფოთებელი ძმური კავშირის დაურღვევლობისა, ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს რკინისებური სიმტკიცისა.

აკადემიკოსი ა. ზ. პალადინი,
უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ვიცე-პრეზიდენტი.

აზერბაიჯანის მშრომელები ერთსულოვნად მიესალმებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

ბაკო, 3 თებერვალი (საკუთარი). გულწრფელი მოწონების გრძნობით შეხვდნენ აზერბაიჯანის მშრომელნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებებს მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ.

მიტინგებსა და კრებებზე აზერბაიჯანის მუშები, კოლმეურნეები თავიანთ სიტყვებში უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევენ ახალ სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს.

ტრესტ „სტალინნეფტის“ მბურღავი ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი რუსტამ რუსტამოვი ამბობს:

— ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა მეომრების რიგებში, ყველა ხალხის შვილთა მხარეებში, თავდადებით იბრძვიან ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და დამოუკიდებლობისათვის აზერბაიჯანის შვილები. ჩვენ, ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკები, დავეხმარებით ფრონტს თვითმფრინავებისა და ტანკებისათვის საწვავის მოპოვების გადიდებით.

უდიდესი აღფრთოვანებით იხილავენ ახალ კანონებს ინტელიგენციაში.

— თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნა, — განაცხადა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ჰაიდარ ჰუსეინოვმა, — ნიშნავს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალ დიდ გამარჯვებას. ეს კანონები უდიდეს როლს შეასრულებენ ჩვენი დიდი სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საქმეში. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მოკავშირე რესპუბლიკათა ნაციონალური განვითარების საქმეში. ეს ნაბიჯი მიმართულია სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისაკენ.

ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისაკენ მიმართული კანონები

ალმა-ათა, 3 თებერვალი (საკუთარი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ მიღებულ კანონებს მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებამოსილობის მინიჭების შესახებ ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ყაზახი ხალხი. ყველგან იმართება ხალხმრავალი კრებები და მიტინგები.

ხელმძღვანელმა ფრონტის დელეგაციისამ, რომელიც ამჟამად ყაზახეთში იმყოფება, მაიორმა ისატაევმა მიტინგზე განაცხადა:

— ცარიზმის დროს ყაზახს იარაღს არ ანდობდნენ. ის არ იყო თავისი ცხოვრების, თავისი მიწა-წყლის პატრონი. დიდი რუსი ხალხი დაეხმარა ყაზახებს დამყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება. შეომარმა, თავისუფლებისმოყვარე ყაზახმა ხალხმა მიიღო იარაღი თავისი სამშობლოს დასაცავად. ყაზახების ერთგულება ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობისადმი დამტკიცებულია ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ველებზე. ყაზახეთის, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, საჯარისო ფორმირებანი მოაახლოებენ გერმანელ ფაშისტებზე გადამჯობინების სანატრელ ჟამს.

— მოკავშირე რესპუბლიკებში თავდაცვის სახალხო კომისარიატების შექმნა, — სთქვა პოლკოვნიკმა მომბაშ ულმა, — დიდი გავლენა ჩვენი დიდი სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმისათვის. სსრ კავშირის შეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა კანშ სატპაევმა, აღნიშნა რა ახალ სახელმწიფოებრივ გარდაქმნათა განსაკუთრებული როლი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცების საქმეში, — განაცხადა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის გადაწყვეტილებანი მიმართული არიან საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობისა და ავტორიტეტის განმტკიცებისაკენ. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, საგარეო საქმიანობის დარგშიც, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა ძმურ ურთიერთობას და უსასტიკეს მორალურ-პოლიტიკურ ლაბორის ჩასცემს ფაშიზმს.

ისტორიული მოვლენა

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე გაკეთებული მოხსენება ისტორიული მოვლენაა. თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ. სესიის მიერ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებებს უზზეკი ხალხი განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა.

კინოებსა და თეატრებში მოსწავლეთა სიარულის ახალი წესი

რსფსრ განსახკომმა შემოიღო კინოებსა, თეატრებსა და სხვა ადგილებში მოსწავლეთა სიარულის ახალი წესი. მოსწავლეებს 16 წლის ასაკამდე ეკრძალებათ სასწავლო დღეებში კინოებსა და თეატრებში სიარული სკოლის ხელმძღვანელობის ნებადაურთველად.

სკოლების დირექტორებს დაეკალთ კინოებსა და თეატრებში მოსწავლეთა წასვლის ნებართვა მოსცენ მარტო არასასწავლო დროს ორგანიზებული წესით უფროსების, მასწავლებლების, პიონერხელმძღვანელების თანხლებით. ამასთან სასტიკად უნდა გაუწიონ ანგარიში ყოველი მოსწავლის მოსწრებასა და ყოფაქცევას, მის მეცადინეობას ან შინ მუშაობას, აგრეთვე იმას, რომ რეპერტუარი შეეფერებოდეს აღზრდის მოთხოვნებს (საკუთარი).

მოკავშირე რესპუბლიკათა ზრდის მკაფიო მაჩვენებელი

ტაშკენტი, 2 თებერვალი (საკუთარი). უზბეკეთის შრომელნი უდიდესი ყურადღებით აღევნებდნენ თვალ-ყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის მუშაობას. დღეს ტაშკენტის ქარხნებში, ფაბრიკებსა და დაწესებულებებში შემდგარ ხალხმრავალ მიტინგებზე გაცხოველებით იხილავდნენ ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ.

იზრდება და მტკიცდება საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება

„პრავდის“ მოწინავე — 3 თებერვალი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესია ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი სესია. მისი მუშაობის შედეგებმა არა მარტო ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს, თუ როგორ განმტკიცდა ჩვენი ქვეყანა, თუ რა ძლიერია საბჭოთა წყობილება, რაოდენ დიდია საბჭოთა ხალხების მეგობრობა, არამედ გზაც გაუხსნეს დიადი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომს განმტკიცებას.

1944 წლის 1 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ცალ-ცალკე პალატების მიხედვით კენჭისყრით დაამტკიცა ორი ახალი კანონი, რომელნიც მოწმობენ დიდმნიშვნელოვან გარდაქმნებს ჩვენს სახელმწიფოში. ამ კანონების ტექსტი დღეს ქვეყნდება „პრავდაში“.

მიღებული კანონებით გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი გარდაქმნების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ამომწურავი სიცხადით იყო გადმოცემული სახალხო კომისარი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მკაფიო და ღრმაშინაარსიან მოხსენებაში, რომელმაც საკავშირო მთავრობის სახელით სესიას წარუდგინა კანონპროექტები თავდაცვის სახალხო კომისარიატის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ.

მიღებული კანონებით გათვალისწინებული გარდაქმნები ნიშნავენ მოკავშირე რესპუბლიკების საქმიანობის დიდ გაფართოებას. მოკავშირე რესპუბლიკათა საქმიანობის ასეთი გაფართოების შესაძლებლობა შედეგია მოკავშირე რესპუბლიკათა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ზრდისა, ე. ი. მათი ნაციონალური განვითარებისა, და უწინარეს ყოვლისა შედეგია მთლიანად აღებული ჩვენი საერთო-საკავშირო სახელმწიფოს განმტკიცებისა. ამავე დროს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა და ამოცანათა გაფართოებაში „არ შეიძლება არ დავინახოთ ჩვენი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი გამარჯვება“ (ვ. მ. მოლოტოვი).

სავსებით ჩაიფუშა მტრის ვარაუდი ჩვენი ქვეყნის ხალხების გათიშვისა, წითელი არმიის დამარცხებისა. გამანადგურებელი დარტყმები, რასაც აყენებს მტერს გმირი წითელი არმია, რომელსაც აწევს ჰიტლერული არმიის მთავარ ძალებთან ბრძოლის მთელი სიმძიმე, მკაფიოდ გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის უდიდეს სიმძლავრეს, საბჭოთა წყობილების სიმტკიცეს, საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას. სწორედ თავისი ურყევი ძალისადმი ამ რწმენამ მისცა შესაძლებლობა საბჭოთა ქვეყანას განეხორციელებინა ესოდენ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გარდაქმნები გაჩაღებული სამამულო ომის დროს. ბევრი როდი აღმოჩნდება ისეთი სახელმწიფო, რომელიც გაბედავდა ასეთ მნიშვნელოვან და დიდ გარდაქმნებს ომის პირობებში.

წითელი არმია არის საბჭოთა კავშირის ხალხთა ხორცი ხორცთაგანი. მეფის რუსეთში იყვნენ გერი ხალხები. მათთვის დაბშული იყო გზა არმიაში, ცარიზმი არ ენდობოდა იმ ხალხებს, რომელნიც მას კოლონიურ ან ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში ჰყავდა. ძირფესვიანად შეიცვალა მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს. სამშობლოს დაცვის მაღალი პატივი მინიჭებული აქვს ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხს. უკვე ახლა, გარდა იმისა, რომ ჩვენს არმიას მილიონობით ადამიანი შეემატა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთაგან, ჩვენში არსებობენ ნაციონალური საჯარისო ფორმირებანი — ლიტველებისა, ლატვიელებისა, ესტონელებისა, ქართველებისა, აზერბაიჯანელებისა, სომხებისა, ყაზახებისა და ზოგიერთი სხვა. ამჟამად ამ გზაზე ახალ ნაბიჯს ვდგამთ წინ.

არაგვიანი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შემოღება ყოველმხრივ შეუწყობს ხელს წითელი არმიის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. წითელი არმია მუდამ იყო საბჭოთა ხალხის საყვარელი პირმშო. ეს სიყვარული განსაკუთრებით გაძლიერდა ომის დროს. საბჭოთა ხალხი უდიდესი სიყვარულითა და სიამაყით აღევნებს თვალყურს წითელი არმიის ძლევამოსილ წინსვლას. წითელმა არმიამ დაიცვა ჩვენი დედაქალაქი მოსკოვი, უმაგალითო დამარცხება აგება გერმანელებს სტალინგრადთან, იხსნა აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი ჰიტლერელთა შესევისაგან, დაიცვა ლენინგრადი, სავსებით მოხსნა მას ბლოკადა და ამჟამად სახელოვან ბრძოლას ეწევა უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებლად, ამზადებს ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის, კარელია-ფინეთის რესპუბლიკის უკვე მოახლოებულ განთავისუფლებას.

ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა თავისი ღირსების საქმედ მიიჩნევს ჩვენი სამშობლოს დამცველის, ჩვენი დიადი სახელმწიფოს საიმედო დასაყრდენის—ჩვენი მშობლიური წითელი არმიის განმტკიცებას. „საბჭოთა კავშირის მტრებს შეუძლიათ ეჭვი არ შეიტანონ, რომ ამ ახალ საჯარისო ფორმირებათა შედეგად ჩვენი სახელმწიფოს ძალები კიდევ უფრო განმტკიცდება. ეს აიძულებს მათ უფრო ფრთხილად მოიქცნენ შემდეგში“ (ვ. მ. მოლოტოვი).

საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოება ნაკარნახევია როგორც ამ რესპუბლიკების უშუალო ინტერესებით, ისე მთელი საკავშირო სახელმწიფოს ინტერესებით. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის გარიჟრაჟზე, საბჭოთა კავშირის შექმნამდე, ცალკეულ რესპუბლიკებში არსებობდა საკუთარი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატები, რასაც ამართლებდა საქმის მაშინდელი ვითარება, მაშინ შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა. ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში საბჭოების 1-ლ საერთო-საკავშირო ყრილობაზე სთქვა, რომ მაშინ „საბჭოთა რესპუბლიკები, თუმცა ერთად მოქმედებდნენ, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა თავიანთი არსებობის საკითხით დაინტერესებულნი, ცალ-ცალკე ვიდოდნენ“.

საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებასთან ერთად მტკიცდებოდა მისი საერთაშორისო პოზიციებიც. სსრ კავშირის შექმნისას უცხო სახელმწიფოებთან საგარეო ურთიერთობა გაერთიანებულ იქნა ერთ ცენტრში. ამ გაერთიანებამ თავისი დიდი დადებითი შედეგი გამოიღო. მაგრამ მაშინაც ამხანაგი სტალინი, ნაციონალური საკითხის საუკეთესო მცოდნე არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო ვითარებაში მომხდარ ცვლილებათა და ჩვენი რესპუბლიკების ნაციონალური განვითარების შედეგად მომავალში წარმოიშობა საბჭოთა სახელმწიფოს აპარატის ორგანიზაციული გარდაქმნის საჭიროება.

ასეთი საჭიროება, რაც გამომდინარეობს მთლიანად აღებული საბჭოთა სახელმწიფოს და მოკავშირე რესპუბლიკების სასიცოცხლო ინტერესებიდან, წარმოიშვა ამჟამადაც. საბჭოთა კავშირის შეცვლილ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა ხდებოდა ცდები უგულებელეყოთ, არ შეემჩნიათ საბჭოთა სახელმწიფო. პირიქით, უცხო სახელმწიფოთა შორის სულ უფრო და უფრო ძლიერდება მისწრაფება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისაკენ. სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა განუხრელად ფართოვდება, იგი განმტკიცდა და მკვიდრი გახდა ომიანობის ძნელ პირობებშიც კი.

საკმარისია აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთთან ჩვენ გვაქვს არა მარტო მეგობრული, არამედ მოკავშირეობის ურთიერთობაც. ამასვე მოწმობს ის კარგი დამოკიდებულება, რომელიც დამყარდა ჩვენსა და შეერთებულ შტატებს შორის. წარმოშობა და მზარდი სიმტკიცე ანტიჰიტლერული კოალიციისა, რომელსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი და შეერთებული შტატები, კოალიციისა, რომელსაც უდიდესი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, აგრეთვე წარმოადგენს სსრ კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების დადასტურებას. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იქნა ამას წინათ, თავის მხრივ წარმოადგენს სსრ კავშირისა და ევროპის სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მაგალითს.

ომის მსვლელობაში განმტკიცდა არა მარტო საბრძოლო თანამეგობრობა ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნებისა. საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე ომისშემდგომ პერიოდში ხანგრძლივ და ნაყოფიერ თანამშრომლობას. ამას მოწმობს შედეგები მოსკოვისა და თეირანის კონფერენციებისა, რომლებმაც თავისუფლებისმოყვარე ხალხებს იმის რწმენა შეუქმნეს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა მტერი განადგურებულ იქნება. მოკავშირეთა საერთო გამანადგურებელი დარტყმებით, და რომ მტერზე საერთო გამარჯვება კიდევ უფრო განამტკიცებს ანტიფაშისტური ქვეყნების კავშირისა და მეგობრობას, რომლებიც წარმოიშვა და გამოიწრთო ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

მაგრამ, სწორედ გაფართოება და განმტკიცება საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობისა, მეგობრულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ზრდა მოითხოვს უფრო რთულ და განშტოებულ ორგანიზაციას, ვიდრე ის არის, რომელსაც საგარეო საქმეთა საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატი ფლობს. მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ არამცირე სპეციფიკური სამეურნეო და კულტურული საჭიროებანი, რომლებიც არ შეიძლება სავსებით მოცულ იქნან საზღვარგარეთ საერთო-საკავშირო წარმომადგენლობის მიერ. აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით. ამ საკითხების გადაჭრა უფრო ადვილად და მარტივად შეიძლება უცხო სახელმწიფოებთან მოკავშირე რესპუბლიკათა უშუალო ურთიერთობის გზით. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის გარდაქმნა ხელს შეუწყობს ისეთი ფაქტების ლიკვიდაციას, როდესაც საბჭოთა კონსტიტუციაში სხვა სახელმწიფოებთან წარმომადგენლობათა გაცვლისა და საგარეო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკათა უფლების შესახებ სპეციალურ მითითებათა არარსებობას ზოგჯერ განმარტავენ მოკავშირე რესპუბლიკათა და მთლიანად აღებული საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების პირდაპირ საზიანოდ.

განსახორციელებელ გარდაქმნათა შედეგად საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც თავისი განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია, უფრო რთულ და ვრცელ ამოცანებს აყენებს. „ამაში არ შეგვიძლია არ დავინახოთ საბჭოთა კავშირის ორგანიზაციის სოციალისტურ პრინციპთა დიადი მნიშვნელობის ახალი დადასტურება“ (ვ. მ. მოლოტოვი).

დასახულ გარდაქმნებში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი გამარჯვებაა. საბჭოთა კავშირმა ღირსეულად გაუძლო სასტიკ გამოცდას ომით. საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის ძმური კავშირი მტკიცე და ურღვევია ისე, როგორც არასოდეს არ ყოფილა. მაგრამ საბჭოთა ქვეყნის ძლიერება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო წინ მიდის საბჭოთა კავშირი თავისი ისტორიული განვითარების გზით, საბჭოთა კავშირის ხალხები მით უფრო მეტად იმსჭვალებიან მისწრაფებით განამტკიცონ მეგობრობა ურთიერთშორის, დაეხმარონ ერთმანეთს და იარონ ყოველგვარი განსაცდელის გადატანაში საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით. საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, ანხორციელებს რა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, იგი სულ უფრო ფართოდ ხსნის სსრ კავშირის ხალხთათვის მათი ნაციონალური განვითარების გზებს. „კავშირის მხრივ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში რესპუბლიკების გაზრდილ საჭიროებათა ფაქტის აღიარება, მათ შორის რესპუბლიკების საგარეო საქმიანობისაც და ამ საჭიროებათა კანონმდებლობით უზრუნველყოფისაც, მხოლოდ ანმტკიცებს ჩვენი ქვეყნის ხალხების ძმურ ურთიერთობას და კიდევ უფრო სრულად გამოხატავს საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიულ აზრს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა თვალში“ (ვ. მ. მოლოტოვი).

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ჩვენს სახელმწიფოში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში მიღწეული ახალი წარმატება უსასტიკესი მორალურ-პოლიტიკური დარტყმაა ფაშიზმისათვის, მისი კაცთმოძულე პოლიტიკისათვის, რომელიც მთლიანად გაჟღენთილია მტრობით ხალხთა თავისუფალი ნაციონალური განვითარების ინტერესებისადმი.

ფაშიზმზე სრული გამარჯვების განსახორციელებლად საკმარისი არ არის ჰიტლერული არმიის მხოლოდ სამხედრო განადგურება. საჭიროა აგრეთვე ფაშიზმის სრული, ბოლომდე მიყვანილი მორალურ-პოლიტიკური განადგურებაც. საბჭოთა სახელმწიფოს ახალი ნაბიჯი უეჭველია წარმოადგენს უძვირფასეს გაგძს პირსისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ამ ბრძოლაშიც.

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონებით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ გარდაქმნათა ერთხმად დამტკიცება იმის დადასტურებაა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ერთსულოვნად უჭერს მხარს საკავშირო მთავრობის მიერ წამოყენებულ ღონისძიებებს.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ლენინ-სტალინის დიადი და უძლეველი დროშის გარშემო შემჭიდროებულია ისე, როგორც არასოდეს არ ყოფილა, ერთსულოვნად უჭერს მხარს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ახალ სახელმწიფოებრივ გარდაქმნებს. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს გარდაქმნები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და სიდიადის შემდგომ განმტკიცებას, შეუწყობენ ხელს მტრის განადგურების დაჩქარებას და საყოველთაო მშვიდობიანობისა და უშიშროების მოწყობას.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ახალი გამარჯვება

ახალი შრომითი აღმავლობა ბელადის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსაშენებლო ქარხნის კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეხვდა სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე 1 თებერვალს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მიერ გაკეთებულ მოხსენებას — თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს. მუშებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს. სტახანოველმა მუშამ ფრონტული ბრიგადის წევრმა ამხ. ხუციშვილმა, რომელიც გეგმებს 200 პროცენტით ასრულებს, პირობა დასდო კიდევ უფრო გაუმჯობესოს მუშაობა, და ახალი წარმატება ჰოიპოკოს.

ყველაფერი მტრის სრული განადგურებისათვის!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიაზე გაკეთებული მოხსენება თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომის

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 თებერვლის ოპერაციული ცნობა

3 თებერვლის განმავლობაში ნარვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის კალივარე, ვენდალიული, ტირსალა, უსტ-ჩერნოვა, სურ-შერდიანკა, გოლშაია კოლია, სლანგი, ზამოშენე, ზალესენი, მალაია და ბოლ-შაია ვიხკატკა, რუდნო, გუსევა გორა, პერნიცი, ველიკოე სელო და რკინიგზის სადგურები პრეობრაჟენკა, სლანგი, იუჩევო.

სიმფერსკის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბეკოვო, კრასნი ხოლმი, პოკროვკა, კ

, იაშჩერა, ნიზოვკა, ლუგი.

ლიუბანის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები, რომლებიც სწევდნენ მტრის საიერიშო ხერგილებს ტყის გზებზე, ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები პოგორელი, ვდოვიცა, ნივკი, ფინევ ლუგი, ტიოსოგო-სტროი, ვოსხოდი, სლეპცი, პიატილიპი, გუზი და რკინიგზის სადგურები როგავკა, კერესტი.

ნოვგოროდის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები, რომლებიც სწევდნენ მტრის წინააღმდეგობას და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ნოვოსოკოლნიკის დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს დასახლებული პუნქტები მალიე სოკოლნიკი, სანკი, სპიჩინო, კრასნოგორიე, კორნილოვო, ანანკინო და რკინიგზის სადგური აბოვო.

რამდენიმე დღის წინათ შკრაბინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ კიროვოგრადის ჩრდილოეთით მდებარე რაიონიდან დასავლეთის მიმართულებით და შკრაბინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ბელაია ცერკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონიდან, აღმოსავლეთის მიმართულებით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა და ხუთი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში ერთმანეთის შესახვედრად, შეერთდნენ ქალაქების — ზვენიგოროდკისა და შპოლის რაიონში. ხუთი დღის შეტევის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს 300-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი სმელა, ქალაქი ზვენიგოროდკა, ქალაქი შპოლა, ქალაქი ბოგუსლავი, ქალაქი კანევი, კიევის ოლქის რაიონული ცენტრები როტმისტროვკა, ლისიანკა, მირონოვკა და რკინიგზის კვანძები ბობრინსკაია, ცვეტკოვო, მირონოვკა.

ბრძოლებში ჩვენ ჯარები გარს შემოერტყნენ 2-ზე მეტ მტრის ქვეითთა დივიზიას, ანუ 20 ათასზე მეტ ადამიანს. ბრძოლის ველზე დარჩა 5 ათასზე მეტი ფაშისტური ჯარისკაცი. ტყვედ ავიღეთ 4 ათასამდე ადამიანი. ტყვეთა შორის 18 ვარგისი ტანკი, 52 სანაღმე და 6 ოთხთვალა ქვემეხი, აგრეთვე დიდძალი სხვა ტვირთი.

ბრძოლებში ჩვენ ჯარებს ეხმარებოდნენ ავიაციის ნაწილები.

ბრძოლებში ჩვენ ჯარებს ეხმარებოდნენ ავიაციის ნაწილები.

გულმოდგინედ ვემზადოთ ზეიმისათვის

წითელწყაროს („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). შესდგა მშრომელთა დეპუტატების წითელწყაროს რაისაბჭოს პირველი მოწვევის 6-ე სესია. სესიას ესწრებოდნენ აგრეთვე სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ზოონეტსაფიცალისტები და მეცხოველეობის ფერმების გამგეები.

სესიამ განიხილა საკითხი ზეიმისათვის მზადების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა რაიმოწვანის გამგე დეპუტატი ამხ. ვ. მანგოშვილი. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების გეგმები, მაგრამ ახლა მთავარია კარგად გამოვიზამთროთ პირუტყვი, სრულად შევინარჩუნოთ ნამატი და 1944 წელს მივაღწიოთ მეცხოველეობის განვითარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. გამოზამთრებისა და ზეიმის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის კარგად მოემზადნენ სოფ. ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკი“, მირზაანის ყმანოვის და ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობები, მაგრამ არის ნაკლოვანებებიც. სოფ. ზემო ქედის ვოროშილოვის სახელობის მეძროხეობის ფერმა მომარაგებული არ არის საჭირო რაოდენობის საკვებით, მოუმზადებელია სახბორეები და საბატკნეები და სხვ. მეცხოველეობის გამოზამთრებისა და ნამატის შენარჩუნებისათვის ცუდად არის დაყენებული საქმე ქვემქედის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში, ზემოქედის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ და „წითელი ვარსკვლავის“ ფერმებში,

ქვემქედის მასარაძის და ცხაკაიას სახელობის, ზემოქედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ არაწესიერად იყენებენ საკვებს, მეცხოველეობის ფერმებში პირუტყვისათვის მოწყობილი არა აქვთ ბაგები

მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. გ. ყაჟეიშვილმა, ა. ბაღაშვილმა, ი. სეხნიაშვილმა, ა. გიგაურმა, შ. ხირსელმა, შ. შარაშიძემ, დ. ნერგაძემ და მურთაზაშვილმა. სესიაზე სტატეთ გამოვიდა წითელწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი ამხ. ვ. მირიანაშვილი.

სესიამ დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

შ. მოლაშვილი

ხაშურელი მეაბრეშუმეები ჩაებნენ შეჯიბრებაში

ხაშურის რაიონის კოლმეურნეები დიდი მოწონებით შეხვდნენ წყალტუბოს რაიონის მოწინავე მეაბრეშუმეთა მიმართვას აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

სამამულო ომის წლებში ხაშურელი მეაბრეშუმეები სისტემატურად და გადამეტებით ასრულებენ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმებს. გასულ წელს თითო კოლოფ აბრეშუმის თესლზე საშუალოდ მიღებულია 45 კილოგრამი პარკი გეგმით გათვალისწინებული 40 კილოგრამის ნაცვლად. კოლმეურნეობებში მთავრდება აბრეშუმის პარკის საინკუბაციო ხელშეკრულებათა დადება. გულდასმით ამზადებენ აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებ შეწობებს. რაიონში დამთავრდა მეაბრეშუმეთა კადრების გადამზადება.

გაეცნენ რა წყალტუბოელ მეაბრეშუმეთა მიმართვას, სოფ. ტეხრის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ მოწინავე მეაბრეშუმეები პირველნი ჩაებნენ ზოგუშეჯიბრებაში.

სოფ. ბრილის მეაბრეშუმე კოლმეურნე ქალმა ამხ. გოჩიაშვილმა, რომელმაც შარშან პირველად დაიწყო აბრეშუმის ჭიის ფამოკვება და ნახევარი კოლოფი აბრეშუმის თესლიდან 35 კილოგრამი პარკი მიიღო, იკისრა გადადებულება წელს 200 პროცენტით შეასრულოს აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა.

(საქ. სა).

აფხაზეთის მფს-ები ემზადებიან გაზაფხულისათვის

სოხუმი. (საქდესი). აფხაზეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები გაძლიერებული ტემპებით ემზადებიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. მთავრდება სატრაქტორო პარკის მიმდინარე რემონტი. უკვე შეკეთებულია 35 ტრაქტორი. 26 თებერვლისათვის 70,6 პროცენტით შესრულებულია ტრაქტორთა კაპიტალური რემონტის გეგმა.

მებრძოლურად ემზადებიან გაზაფხულისათვის გუდაუთელი ტრაქტორისტები. წარმატებით შეასრულა რა გასული წლის საწარმოო გეგმა, გუდაუთის მტს-მა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა ვადამდე დაამთავრა ტრაქტორების რემონტი. ამჟამად მტს-ის კოლექტივი აქტიურ დახმარებას უწევს ახლომდებარე კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტში.

ოჩამჩირის მტს-ის კოლექტივი წარმატებით ასრულებს საბჭოთა კავშირის მოწინავე ტრაქტორისტთა მოწოდების პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს. კაპიტალურად შეკეთებულია 3 ტრაქტორი. შესრულებულია 3 ტრაქტორის მიმდინარე რემონტი. მტს-ი საკუთარი უზრუნველყოფილია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ტრაქტორისტთა კვალიფიკაციის კადრებით. ტრაქტორისტთა კურსებზე დამატებით ასწავლიან 13 კაცს.

კაჭრეთის მფს-მა შეასრულა რემონტის გეგმა

კაჭრეთის მტს-მა სოციალისტური შეჯიბრების ფარგლებში გასული საფუძველზე ტრაქტორებისა და მასამელი მანქანა-იარაღების შეკეთების გეგმა ნაცვლად 1 მარტისა 1 თებერვალს შეასრულა. რემონტის საქმეში თავი ისახელეს ბრიგადებმა, რომლებსაც ა. აბესაძე, ს. ხალინინი, ი. თევდორაშვილი, გ. ზაკალაშვილი და გ. ღვინიაშვილი ხელმძღვანელობენ. კარგი მაჩვენებლები მოგვაცეს ტრაქტორისტებმა გ. ლაბაძემ, ი. დოდაშვილმა, ი. ბარბაქაძემ, გ. ზირაქაშვილმა, მ. ირომაშვილმა და სხვ.

რემონტიდან გამოშვებული ტრაქტორები ეკავნენილია ბონდრად სამუშაოდ.

გზურაბანიძე
კაჭრეთის მტს-ის დირექტორი

თბილისელ ახალგაზრდა მუშათა რაზმი ღონბასში

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველომ დონბასის საწარმოების აღდგენაში მონაწილეობის მისაღებად გასული წლის მეოთხე კვარტალში მიავლინა თბილისის სახელოსნო სასწავლებლებში კურსდამთავრებულ ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელიც ფაბრთიანებულ იქნა ერთ რაზმად. ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ეს რაზმი მოწინავე ადგილს ინარჩუნებს დონბასის მრეწველობის აღდგენაზე მომუშავე საშუალო ინ-ურეთა სხვადასხვა კუთხიდან ჩასულ ახალგაზრდა მუშათა რაზმებს შორის.

დონბასში უკვე ცნობილნი არიან ახალგაზრდა პატრიოტები, თბილისის სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში აღზრდილნი — მეშიდელი ზერნიავსკი, ზეინალი სოკოლოვი, დერგლები ბალკოვი და დეევი, ხარატები სკრიპკო, გოვალენკო და სხვ.

თბილისელ ახალგაზრდათა რაზმმა 1943 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ზედიზედ მოიპოვა გამარჯვება დონბასში მომუშავე ახალგაზრდათა რაზმებს შორის ბრძოლებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. დეკემბერში თბილისელ ახალგაზრდათა რაზმს მიეკუთვნა სსრ კავშირის შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს, საკ. ალკა ცენტრალური კომიტეტისა და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

მოსკოვიდან თბილისელ ახალგაზრდათა რაზმმა მიიღო სსრ კავშირის შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს ფიფრისის ამხ. მოსკალენკოვის, საკ. ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. მიხაილოვის და შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის ამხ. ი. ტევოსიანის მისასალმებელი დეპეშა. თავიანთი მუშაობის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული ახალგაზრდა თბილისელები ამხ. მოსკალენკოვის, მიხაილოვისა და ტევოსიანის მისალმების პასუხად კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს და წარმატებით იბრძვიან თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მისაღებად.

ამას წინათ დონბასში მყოფ თბილისელ ახალგაზრდათა რაზმს მოწოდებით მიმართა საქართველოს შრომითი რეზერვების სამმართველოს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ახალგაზრდობას სწრაფად დაეუფლოს პროფესიებს, ისწავლონ წარმატებით და მალე ჩადგეს საწარმოო დავალებების გადაჭარბებით შემსრულებელთა რიგებში. ამ მოწოდებამ საქართველოს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ახალგაზრდობაში მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია.

დონბასში გაგზავნილ თბილისელ ახალგაზრდა მუშათა მოწოდებას საქმით უპასუხა № 4 სახელოსნო სასწავლებლის (დირექტორი ამხ. მგალობლიშვილი), № 4 საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის (დირექტორი ამხ. ნაციურაძე), რკინიგზის № 2 სახელოსნო სასწავლებლის (დირექტორი ამხ. ასლანიშვილი) და მთელი რიგი სხვა სასწავლებლების ახალგაზრდობამ.

საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლათა ახალგაზრდობამ იკისრა წითელი არმიის მიერ ჰიტლერელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში საწარმოების აღდგენის დასაჩქარებლად დამზადოს და დანიშნულებისაებრ გაგზავნოს ხელსაწყო-ინსტრუმენტები, მასალები და სხვადასხვა დეტალები.

გ. ჯალაგანიძე

კადრები კინონარკვევიდან „არკადი გეგეშიძე“. მარცხნივ—საბჭოთა კავშირის გმირი ა. გეგეშიძე, მარჯვნივ—ა. გეგეშიძის ბატალიონი მიდის საბრძოლო ბრძანების შესასრულებლად.

კინონარკვევი „არკადი გეგეშიძე“

თბილისის კინოსტუდიის ქრონიკის სექტორმა გამოუშვა კინონარკვევი „არკადი გეგეშიძე“ (რეჟისორი შ. ხომერიკი, ოპერატორები ა. აკაბიანშვილი, გ. უსეინაშვილი, ეაისტენტი ა. ფილიპოვი), რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის არ. გეგეშიძის საბრძოლო საქმეებისადმი მიძღვნილი.

ნარკვევში მოცემულია ა. გეგეშიძის და მისი ბატალიონის ბრძოლები სევასტოპოლის დასაცავად, ა. გეგეშიძე ჰოსპიტალში, მისი გაცილება თბილისიდან, მშობლიური სოფელში—მელაოურში ჩასვლა და საზეიმო შეხვედრა, რომელიც თანასოფლელებმა მოუწყეს მას; შეხვედრა თანამებრძოლის—საბჭოთა კავშირის გმირის ნოე ადამიას სოფლელებთან.

მოკლემეტრაჟიანი ფილმი გულთბილად მოგვითხრობს ხალხის მხურვალე სიყვარულზე თავისი გმირი მეომრის მიმართ.

ფილმი გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე.

საქ. სსრ თავდაცვაავიაქიმის ცენტრალური საბჭოს IX პლენუმი

31 იანვარს და 1 თებერვალს შესდგა საქ. სსრ თავდაცვაავიაქიმის ცენტრალური საბჭოს IX პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: „საქართველოს თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციების 1943 წლის მუშაობის შედეგები და 1944 წლის ამოცანები“. პლენუმს ესწრებოდნენ საქ. სსრ თავდაცვაავიაქიმის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები და თავდაცვაავიაქიმის აქტივი.

საქართველოს თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციების 1943 წლის მუშაობის და 1944 წლისათვის დასახული ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. სსრ თავდაცვაავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი ვ. ობოლაძე.

საქართველოს თავდაცვაავიაქიმის ბევრი ორგანიზაცია გასულ წელს მუშაობდა ომიანობის დროის შესაფერისად. საზოგადოების რამდენიმე ათასმა წევრმა წარმოებისაგან მოუწყვეტლად თავდაცვაავიაქიმის ფორმირებებში და სასწავლო ორგანიზაციებში მიიღო სამედრო სპეციალობანი. დიდი მუშაობა ჩატარებულია აგრეთვე საჰაერო-ქიმიური თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადებაში, თვითდაცვის ჯგუფების მომზადებაში, თავდაცვაავიაქიმის საზოგადოებაში წევრთა მოზიდვაში, ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბებაში, მშრომელთა შორის სამხედრო ცოდნის პროპაგანდაში.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ: ამხ. სურმავა (აკპარის ასსრ), ამხ. საენკო (აფხაზეთი), ამხ. აიბა (გუდაუთი), ამხ. ქსოვრელი (თბილისის მოლოტოვის რაიონი), ამხ. ხაზუტაშვილი (თბილისის ორჯონიკიძის რაიონი), ამხ. წურწუმია (ქუთაისი), ამხ. გელოვანი (თბილისის საქალაქო საბჭო), ნინიკაშვილი (საქ. სსრ თავდაცვაავიაქიმის ცენტრალური საბჭო), ამხ. ლომიძე (ბაშური), ამხ. ჩიხრაძე (ტყიბული), ამხ. [illegible] (საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტი) და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამხედრო განყოფილების გამგემ ამხ. ბონდარევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა საქართველოს თავდაცვაავიაქიმის ზოგიერთი ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ღონისძიებები საქართველოს თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პლენუმის დამთავრების შემდეგ მოხდა საქ. სსრ თავდაცვაავიაქიმის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების და საპატიო სიგელების გადაცემა საქართველოს თავდაცვაავიაქიმის იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებმაც 1943 წელს თავდაცვაავიაქიმის ყველა სახის სამუშაოთა გეგმები მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს. გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა აფხაზეთის ასსრ თავდაცვაავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. საენკო), თავდაცვაავიაქიმის ქუთაისის საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. წურწუმია) და სამტრედიის თავდაცვაავიაქიმის რაიონულ საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. გალდავა). საპატიო სიგელები გადაეცათ თავდაცვაავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარეებს ამხ. ლომიძეს (ბაშური), ამხ. ხეცაძეს (ზესტაფონი), ამხ. ფანცხავას (ქუთაისის რაიონი), ამხ. აიწურაძეს (ბორჯომი), თბილისის თავდაცვაავიაქიმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გელოვანს და აჭარის ასსრ თავდაცვაავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. სურმავას.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პროფ. დ. ეარაყიშვილმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს სოლური სიმღერის საკითხისათვის და ქართული ქალაქური ფოლკლორი“.

მომხსენებელმა ილაპარაკა დიდძალ სიმღერებზე, რომლებიც ჩაწერილია თვითონ მის მიერ, კომპოზიტორ ჰ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ, და საქართველოში ყოფნის დროს პოეტ ა. ს. გრიბოედოვის მიერ ჩაწერილ ერთ სიმღერაზე.

მომხსენებელმა მოახდინა სოლური სიმღერების კლასიფიკაცია და ორ ძირითად ჯგუფად დაყო ისინი: საქართველოში დამოუკიდებლად წარმოშობილი სიმღერები და ირანის გავლენით წარმოშობილი სიმღერები. მაგრამ, მომხსენებლის აზრით, შესაძლებელია, რომ ამ სიმღერებზე გავლენა მოეხდინოს თურქულ-აზერბაიჯანულ სიმღერებს.

ქალაქური ფოლკლორში კი პროფ. არაყიშვილი რამდენიმე შტოს პოულობს. სიმღერები, რომლებიც წარმოიშვა წმინდა ქართული მუსიკალური კულტურის საფუძველზე, ირანის აშკარა გავლენის მქონე სიმღერები და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა (ჰაიდნი, მოცარტი, ვერდი) შემოქმედებიდან გადმოღებული სიმღერები.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოლური სიმღერებისა და ქალაქური ფოლკლორის საკითხი შემდგომს გულმოდგინე და ყოველმხრივ კვლევას მოითხოვს.

მოხსენების დროს სიმღერები შესრულებულ იქნა ფორტეპიანოთი, აგრეთვე სოლოდ შესასრულა მომღერალმა ა. გ. ჯიჯგავაძემ.

მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფ. შ. ს. ასლანიშვილმა, მუსიკის ეროდენემ გ. ზ. ჩხიკვაძემ, დოც. ჰ. ვ. ხუციშვილმა, კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა და ფოლკლორისტმა ამხ. ვირსალაძემ.

დასასრულ ილაპარაკა აკადემიკოსმა ვ. ახვლედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მოხსენება ძვირფასი და მნიშვნელოვანია ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიის გამორკვევისათვის, მუსიკალური კულტურისა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოს კულტურის სხვა დარგებთან.

ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსმა ახვლედიანმა სურვილი გამოთქვა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან მოეწყოს მუსიკალური განყოფილება, რომელიც იმუშავებს ქართული მუსიკალური ფოლკლორის გამოკვლევაზე. (საქდესი).

მაგარებელი ლენინგრადი—კოლპინო

გაიხსნა სამგზავრო მატარებლების რეგულარული საგარეუბნო მოძრაობა ოქტომბრის რკინიგზის ლენინგრად-კოლპინოს ხაზზე.

გერმანელებს ორი წლის განმავლობაში არტილერიის ცეცხლქვეშ ჰქონდათ მოქცეული სადგური კოლპინო. მატარებლები მისვან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ჩერდებოდნენ და მოსახლეობა იძულებული იყო სროლაში წასულ-წამოსულიყო თავის სახლებში. ახლა აქ ღრმა ზურგია. ლენინგრად-კოლპინოს ხაზზე ყოველდღე ივლიან საგარეუბნო მატარებლები. (საკდესი).

„ამერიკის ბლოკნოტი“

გამოვიდა „ამერიკის ბლოკნოტის“ მორიგი (2(3) ნომერი, რომელშიც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1. ვ. ი. ლენინი პოლიტიკური ავიტაციის შესახებ; 2. ფაშისტური ბლოკის როლევა; 3. კერზონის ხაზი და 4. ჩვენი კალენდარი.

ლექციები და მოხსენებები

4 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. ბაგაძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „საბჭოთა სახელმწიფო ომიდან ძლიერი და კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვა“.

ლიანდაგის შემომავლად სოციალისტური შრომის გმირ კაზანცევის ახალი თაოსნობა

სვერდლოვსკის გზაზე ფართოდ არის გავრცელებული გამოცდილება ლიანდაგის შემომმელელ სოციალისტური შრომის გმირ მაქსიმე კაზანცევისა, რომელიც ლიანდაგს ბრიგადის ძალებით არემონტებს.

კაზანცევის ბრიგადებში გაერთიანებულმა ლიანდაგის 975 შემომვლელმა ზაფხულის განმავლობაში არასამუშაო დროს შეასრულა ლიანდაგის რემონტი, რის შესასრულებლადაც საჭირო იყო 7 თვის განმავლობაში 100 კვალიფიციური მერემონტე მუშის ყოლა.

ამხ. კაზანცევი ახალი შემოწყობის ინიციატორად გამოვიდა. მისმა ბრიგადამ გადასწყვიტა ლიანდაგის მიმდინარე რემონტი განაგრძოს მთელი ზამთრის განმავლობაში, აქტიურად დაეხმაროს თოვლისაგან ლიანდაგის გაწმენდაში, ჩაატაროს ამ საქმეში ოჯახის წევრები. კაზანცევის ინიციატივას მხურვალედ დაუჭირეს მხარი. ზამთრის ორი თვის განმავლობაში კაზანცევის ბრიგადებმა სამაგდგურო ლიანდაგებზე ასწორეს ბევრი ყინული, თოვლი და წიდა. გამოსცალეს ბევრი დაზიანებული რელსი და ზისადები, დადგეს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანეს თოვლის შემკავებელი რამდენიმე ათასი ფარი. (საკდესი).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თეატრებში

4 თებერვალს: სახელმწიფო—„ჯადოსანი“ და „ლტოლვილი“. რუსთაველი—„ოლეკა დუნდარი“. მარჯანიშვილის—„კოლმეურნის ქორწინება“. გრიბოედოვის—„თავა და ავი ძალა“. სომხური—„ლურჯი მანდილი“. ახუნდოვის—„5-მანეთიანი საკოლე“. მოზარდი მაყურებლის—„სურამის ციხე“. მუსიკალური კომედიის—„საკორწინო მოგზაურობა“.

კინოებში

4 თებერვალს: რუსთაველი—„ჯორჯი დინკი-ჯაზიდან“. ოქტომბერი—„შვეიკის ახალი თავგადასავალი“. დამკვირველი—„ის იცავს სამშობლოს“. კომკავშირელი—„ლედი ჰამილტონი“. სპარტაკი—„სოხუმური კინო-კონცერტი“. ლუქსემბურგის სახ.—„ვალის ბედოლიები“. 26 კომ. სახ.—„სამი მუშკეტერი“. მეცნიერება და ტექნიკა—„მაქსიმ გორკი“.

ქშობლები ილია, სალომე შვილებით იუწყებიან ალექსანდრე ჯამასიშვილს გარდაცვალებას. პანაშვ. 4, 5/II, 7 ს. გამოსვ. 6/II, 2 ს. 5 დეკემბრის III შესახ., 3. 121

საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტ. აშშრომლები იუწყებიან ივანე ბედუკაძის გარდაცვალებას.

ცოლი ოლგა, შვილი მიშა ცოლით იუწყებიან ვლადიმერ მელქისიდეკის-ძე ყენანის გარდაცვალებას. პანაშვ. 5/II, 6½ ს. გამოსვ. 6/II, 2 ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 7.

თბილისის სახ. კონსერვატორია იუწყება, რომ 6/II, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დაინშნულია ელისო ხუხუნის პანაშვიდი. 6

დედა თამარ, შვილი ედიშერ, მამიდა სოფიო, ბიძაშვილი პროფ. გ. რუსიშვილი დებით იუწყებიან, რომ კვირას, 6/II, დილის 2 ს., ვერის ძვ. სასაფლაოზე დაკრძალულია ელენე ოსეფის-სულ ჯანდიერის სამოქალაქო პანაშვიდი. 119

დედა ეკატერინე, და თამარ, ძმა ილია, იუწყებიან ვახო სიმონის-ძე აბრამიშვილის გარდაცვალებას. პანაშვ. 5/II, 7 ს. კოჩუბეის, 12. გამოსვ. 6/II, 2 ს. 120

დეპეშები

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკდესი). მოკავშირეთა ჯარების მთავარი ბანაკი იტალიაში იუწყება, რომ ამერიკის მე-5 არმიის როგორც ანციოს სექტორის ფრონტზე, ისე ძირითად ფრონტზე შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა. ხიდწინა სიმაგრე გაფართოებულ იქნა, მიუხედავად მტრის ძლიერი წინააღმდეგობისა, რომლის კონტრიერიშებიც მოგერიებულია. ამერიკის მე-5 არმიის მთავარ ფრონტზე ფრანგთა და ამერიკელთა ნაწილებმა ისე შორს წაიწიეს წინ მთებში ბასინის ჩრდილოეთით, რომ მტრის ამ გამაგრებულ პუნქტს სერიოზული საფრთხე მოელის.

ღამით პირველ თებერვალს ღამის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მტრის ობიექტებზე მარბორში (ჩრდილოეთ იუგოსლავია). გუშინ საჰაერო ოპერაციები შეზღუდული მასშტაბით ხდებოდა.

ამერიკის ჯარების ოპერაციები მარშალის კუნძულებზე

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საკდესი). როგორც ა. შ. შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის სარდლობა იუწყება, ამერიკის ჯარებმა, რომლებიც მარშალის კუნძულებზე გადასხდნენ, დაიკავეს როის კუნძული (კვაჯალეინის კუნძულის ჩრდილოეთი) და გადასხდნენ კვაჯალეინის და ნამუს კუნძულებზე. ოპერაციები ამ კუნძულებზე წარმატებით ვითარდება.

ამერიკის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ვიეტკონგსაფენს

ლონდონი, 3 თებერვალი (საკდესი). საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზზე მყოფ ამერიკის ავიაციის შტაბი იუწყება, რომ 3 თებერვალს დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენებმა ამერიკის შორიმოქმედების ავიაგამანადგურებელთა თანხლებით იერიში მიიტანეს ობიექტებზე ვილჰელმსჰაფენში (გერმანია). ამ ოპერაციაში მონაწილე ბომბდამშენთა და ავიაგამანადგურებელთა საერთო რაოდენობა 1.100 თვითმფრინავს სჭარბობდა.

ლონდონი, 3 თებერვალი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 2 თებერვალს ღამით ინგლისის „მოსკიტოს“ მარკის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მთელ რიგ ობიექტებზე დასავლეთ გერმანიაში და დანიაში. მტრის წყლები. ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

ანგიფაშისტური პარტიების ბარის კონგრესზე

ლონდონი, 3 თებერვალი (საკდესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს ბარელი საკუთარი კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ ანტიფაშისტური პარტიების კონგრესმა თავის უკანასკნელ სხდომაზე შეადგინა მუდმივი აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ამოცანას, როგორც ნათქვამია რეზოლუციაში, შეადგენს „ითანამშრომლოს განთავისუფლების რომის ცენტრალურ კომიტეტთან და იმ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რომლებიც არიან აღიარებული მებრძოლები ფაშიზმის წინააღმდეგ“.

უცხოეთის ქრონიკა

უკანასკნელ დღეებში დანიაში მოხდა რამდენიმე დიდი დივერსიული აქტი. მოსპობილია, კერძოდ, ლეიბის ფაბრიკა, დაიწვა შეკანაკური ქარხნის სადურგლო საამქრო. სვენბორგში ცეცხლმა მოსპო მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკური საამქრო და ინსტრუმენტთა საწყობი.

* * *

წყნარ ოკეანეში მოქმედმა ამერიკის წყალქვეშა ნავებმა იაპონელთა 10 გემი ჩასძირეს.

მექრთამეობამ და ხაზინის გაქურდვამ რუმინეთში ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ ამას წინათ გამოქვეყნდა ანტონესკუს მთავრობის სპეციალური დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას მისცემს იმ პირთ, ვინც ხელისუფლებას მექრთამეობისა და მისყიდვის ფაქტებს აცნობებს.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62